

მიხეილ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ

რამდენიმე მოსაზრება 1125 წლის ანდერძის შესახებ

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი მას ყალბად მიიჩნევს, ნაწილს კი მის სინამდვილეში ეჭვი არ ეპარება. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრებაც, რომელიც პირველად ნ.ბერძენიშვილმა გამოთქვა და რომლის თანახმადაც ანდერძი რეალურია, მაგრამ ის ადგილი სადაც ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლაზე საუბარი მასში შემდგომ არის ჩამატებული. საკითხის კვლევას ისიც ართულებს, რომ აღნიშნული ანდერძის დედანი არ არსებობს და ჩვენამდე მხოლოდ XIX საუკუნის ოთხი პირია მოღწეული.

ნ.შოშიშვილი ანდერძს ნაყალბევად მიიჩნევდა და სათანადო არგუმენტებიც წამოაყენა ამის დასასაბუთებლად. „საბუთის შინაარსიდან იგულისხმება, რომ ის დაწერილია დავითის გარდაცვალების შემდეგ ... რა იურიდიული ძალა ექნებოდა ასეთ საბუთს? მეფის საბუთი უნდა დამტკიცებულიყო თვით მეფის ხელრთვით ... საბუთი მიმართავს „ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა ... კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“ ასეთი მიმართვა სრულიად უჩვეულოა ... დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში არა გვხვდება ერისთავთა მოხსენიება არც ნარატიულ ძეგლებში, არც საბუთებში. ანდერძში მეფე აწესებს მემკვიდრეობის ახალ წესს ... გამოდის, რომ დემეტრემ თავის მემკვიდრედ უნდა დანიშნოს თავისი ძმა ვახტანგი, თუ ის ცოტათი მაინც ივარგებს, თუ არა და ტახტი ისევ თავის შვილს გადასცეს. ცხადია, ასეთი გაურკვეველი ფორმულირებით ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის დადგენა შეუფერებელი იყო მეფისათვის და მით უმეტეს ისეთი ძლიერი და ერთპიროვნული გამგებლისათვის, როგორც იყო დავით აღმაშენებელი.“¹

ანალოგიური შეხედულება გააჩნია ბ.კუდავასაც, რომელმაც დამატებითი არგუმენტებიც წამოაყენა ანდერძის ნაყალბეობის დასამტკიცებლად – „ ა) თუ დავითი მართლა უბარებს უფროს შვილს

¹ ქართული ისტორიულ-საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.ხილოვაგამ, ნ.შოშიაშვილმა 1984 წ. გვ. 60-61.

დემეტრეს, რომ მის შემდეგ გაამეფოს უმცროსი ძმა ვახტანგი (რომლის სახელიც კი არ არის საბუთში მოხსენიებული), გაურკვეველი რჩება, რომელ მემკვიდრეს უნდა გადაეცეს ტახტი ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ. ბ) ანდერძის ბოლო ნაწილში მეფე გასცემს გარკვეულ შეწირულობებს. აქაც საკმაოდ ბუნდოვანია ბევრი რამ². გარდა ამისა მკვლევარმა ანდერძთან დაკავშირებული მთელი რიგი ახალი საკითხები წამოჭრა, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ – „საბუთის შესახებ გამოთქმულია ამგვარი მოსაზრებაც: ანდერძი ნამდვილია, მემკვიდრეობის წესის შეცვლის შესახებ ინფორმაცია კი მოგვიანებით არის მასში ჩამატებული. ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს ზემოთ წარმოდგენილ სხვა არგუმენტებსაც. გარდა ამისა, გაუგებარი ხდება, თუკი დედანში ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ არ იყო საუბარი, რისთვისღა დაიწერა ანდერძი? მხოლოდ იმ გაურკვეველი შეწირულობების გასაცემად? ვინ და როდის შექმნა იგი? რა ტიპის საზოგადოება იყო ყალბი საბუთის შინაარსით დაინტერესებული? საბუთის ნაყალბეობის დადგენა გაცილებით ადვილი იქნებოდა XII საუკუნეში, მაშ, რა აზრი ჰქონდა მის გაყალბებას? საზოგადოების რა ნაწილზე იყო გათვლილი ყალბი ანდერძი? სად იყო დოკუმენტი დაცული და როგორ მოხდა, რომ იგი არა მარტო შემოგვრჩა, არამედ საუკუნეთა მანძილზე ადგილიც კი დაიმკვიდრა, როგორც დავით აღმაშენებლის რეალურმა ანდერძმა?“³

მეტად საინტერესო და ამავე დროს ფრიალ ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა ანდერძთან დაკავშირებით ჯ.სტეფნაძემ. „ფიქრობენ, რომ ისეთი ჭკვიანი მეფე, როგორც დავითი იყო თავის ანდერძში მსგავს აზრს არ გაატარებდაო ... ჩვენ კი გვგონია, ამ საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი სხვა გარემოებანი, კერძოდ მომაკვდავი დავითის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ანდერძი დავითის სიკვდილის წინ ჩაიწერეს, როდესაც ადამიანი დიდცა და პატარაც, სახელგანთქმულიცა და უსახელოც, გმირიცა და არაგმირიც ყველაფერს წარმატალი კაცის თვალთ უყურებს. იქნებ უკვე იმ ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე მდგომს, სურვილი გაუჩნდა თავისი სიყრმის შვილისთვის –

² ქართული ხელნაწერი I საერთაშორისო სიმპოზიუმი 2009 წლის 19-25 ოქტომბერი. მოხსენებათა თეზისები გვ. 103

³ ქართული ხელნაწერი I საერთაშორისო სიმპოზიუმი 2009 წლის 19-25 ოქტომბერი. მოხსენებათა თეზისები გვ. 103

ცვატასთვისაც ეგემებინა მეფობა ... დაე ობოლ ცვატასაც ემეფე, რომელსაც მამა უკვდებოდა და ცოტა ხნის შემდეგ დედაც დასტოვებდა რათა იერუსალიმში წასული ქართველ დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო. სახელმწიფოს თვალსაზრისით დავითის აზრი, რა თქმა უნდა, მიუღებელია. იგი დასაბამს აძლევდა დემეტრეს ვაჟებსა და ცვატას შორის შეხლა-შემოხლას, მაგრამ ადამიანური მხრიდან თუ შევხედავთ გასაკვირი არაფერი რჩება. რატომ უნდა იმეფოს ერთმა შვილმა, დაუშვათ ოცი ან ოცდაათი წელი მეორემ კი არც ერთი დღე? რამ გაჰყო ისინი? მე ვფიქრობ რომ გულანუყებლს და ფიზიკურად დასუსტებულ დავითს, რომელიც უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა და იმ ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე დადგომას აპირებდა, შეიძლებოდა თავისი სიყრმის შვილის მომავალზე აი ასე ეზრუნა, მაგრამ ვაცხადებ ეს არ იყო გონებიდან გამოსული სურვილი, ეს სიკვდილის წინა ხანაში მეოფი, ცხოვრებაზე ხელჩქნეული კაცის გაუაზრებელი და აუწონ-დაუწონავი წამიერი ამონათქმია. ამას გარდა ჩვენ ხომ არ ვიცით რა მდგომარეობაში იწერებოდა დავითის დასახელებული ანდერძი. იქნებ არსებობდა რაღაც ძალა, რომელიც თავის სურვილს კარნახობდა დავითს და მის მოძღვარ არსენ ბერს? შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის 45000 ყივჩაყი მეომარი და მათი მთავარი ათრაქა შარადანისძე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს დავითის პოლიტიკურ წარმატებაში? ცვატა დავით აღმაშენებლის ვაჟი იყო, მაგრამ ათრაქა შარადანისძის ქალიშვილის შვილი გახლდათ. ჰოდა იქნებ მან და კიდევ სხვა ძალებმა აიძულეს მომაკვდავი დავითი, რომ თავისი დამსახურებისა და გონების შეუფერებელი ნაბიჯი გადაედგა?⁴ ვარაუდით რა თქმა უნდა ყველანაირი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. სხვა საკითხია რამდენად რეალური შეიძლება ყოფილიყო ყოველივე ეს.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე უმთავრეს მომენტს შეგვხვებით, ზემოთ მოტანილ მოსაზრებასთან დაკავშირებით (თუმცა ისიც საკითხავია რატომ უნდა ყოფილიყო დავითი ცხოვრებაზე ხელჩქნეული? ანდა ცვატას თუ უკვდებოდა მამა, რა დემეტრეს არ უკვდებოდა?). დავით IV-მ სწორედ იმიტომ შეძლო ყოველივე იმის გაკეთება და შექმნა, რის გამოც შთამომავლობამ აღმაშენებელი უწოდა, რომ გულისთქმაზე წინ გონებას აყენებდა და პიროვნულზე წინ – სახელმწიფო ინტერესებს. არა გვეგონი სიცოცხლის

⁴ სტეფნაძე ჯ., მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, 1999 თბ. გვ. 17-19

ბოლოს რაიმე შეცვლილიყო. ჩვენი აზრით, მეფის გარდაცვალების წინ მისი ფსიქიკური მდგომარეობა არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ანდერძის ტექსტის ავტორი დავით აღმაშენებელია. რაც შეეხება ყივჩაყების საკითხს, დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს - „რაოდენგზის ყივჩაყთა თვსთა განიზრახეს დალატი, და განაჩინეს კაცნი მკნენი, რომელნიმე ჳრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა, და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.⁵ ანუ გარკვეული სახის პრობლემებს ყივჩაღები მართლაც ქმნიდნენ. ბუნებრივი, ძალიან სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლო 40 ათას ყივჩაღს. მაგრამ შეუძლებელია დავით აღმაშენებელს ყოველივე ეს მათი გადმოსახლების წინ არ ჰქონოდა გათვალისწინებული. სავარაუდოა, რომ სამეფო კარი სათანადო ღონისძიებებსაც გაატარებდა ყივჩაღთაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად (მაგ. მათი ჩასახლება არა კომპქტურად, არამედ პატარ-პატარა ჯგუფებად). აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ, დავით IV-ის გარდაცვალების წინ საქართველოს სამეფო ტახტზე უკვე იჯდა თანამოსაყდრე – დემეტრე I. დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს – „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამანცა თვსითა ჳელითა დასუა საყდართა თვსთა ძე თვსი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული, მარადღე გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგა თავსა შეუნიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყვ უკუე სათნოებათა მამულთა და შეარტყა ჳელთა ძლიერთა მახვლი ეჰა, რაბამ სვანად ჳმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ღომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით.“⁶ ამასვე ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატრიანეც – „სრულყო რა დავით სრბა მეფობრივი ქრონიკონსა სამას ორმოცდახუთსა, და მივიდა დაუსრულებელსა სუფევასა საუკუნოდ, სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დემეტრე, და დაადგა გვრგვნი თვთ მისითა ჳელითა“.⁷ რომც დავეუშვათ, რომ გარდაცვალების წინ დავით IV მოტყდა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, დამძიმდა და გართულდა მისი ფსიქიკური მდგომარეობა

⁵ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 346

⁶ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 347

⁷ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 351

და რომ ყივჩაღთა სამხედრო ძალამ გადაწყვიტა შექმნილი მომენტიტო ესარგებლა, უნდა ვუპასუხოთ კითხვას – რას შევბოდა ამ დროს მეფე დემეტრე I? ჩვენი აზრით, სიცოცხლის ბოლოს დავით IV-ის მიერ დემეტრე I-ის თანამოსაყდრედ დასმის ერთ-ერთი მიზანი ისიც იქნებოდა, რომ ახალგაზრდა მეფე გამხდარიყო საქართველოს სამეფოს ერთიანობის, ძლიერებისა და სიმტკიცის გარანტი. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, ჩვენ ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია ყივჩაღთა ანდა ნებისმიერი სხვა ძალის ზეგავლენა დავით აღმაშენებელზე.

უკანასკნელ ხანს ამ ანდერძის საკითხს აგოგოლაძე და გ.უუუნაშვილი შეეხნენ. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ანდერძის ტექსტი ნამდვილად დავით აღმაშენებლის სურვილითაა შედგენილი. ისინი აღნიშნავენ, „თუ ანდერძი შედგენილია დემეტრეს ნახევარძმის მომხრეთა დასის მიერ, მაშინ საეჭვოა, რომ დოკუმენტში დემეტრე შეემკოთ აღმატებული ეპითეტებით. დავითი მის შესახებ ამბობს, რომ „მომცა პირუელი შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნით, სიწმიდით, ახოვანებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა“. მეფე თხოვს დემეტრეს დაუსრულებელი საქმეების შესრულებას, მემკვიდრეობისა და ოჯახის დაცვას. საბუთის ბოლოში მეფე თავის მემკვიდრეს ანდერძად უბარებს გელათის კომპლექსის დასრულებას და კურთხევას. საეჭვოა, რომ ვახტანგის მომხრეებს, თუ ისინი თავისი ფავორიტის მომავალზე ზრუნავდნენ, დემეტრე, დავითის უპირობო მემკვიდრედ და ანდერძის შემსრულებლად გამოეყვანათ. მართალია, ანდერძის სიტყვები: „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა“ თითქოს ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან, მაგრამ ვეჭვობთ, რომ იგი მოგვიანო ჩანართი იყოს – ჯერ ერთი, ძალიან საეჭვოა, რომ ტექსტის ცვლილება მოეხდინათ: მეორე, დავითი ამ ანდერძს დემეტრეს უბარებდა და რა თქმა უნდა, მამის დანაბარები ცნობილი იქნებოდა მისთვის“⁸.

რაც შეეხება ტექსტში ჩანართის გაკეთებას, ჩვენი აზრით, ზოგადად ეს გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე სრულიად ახალი ტექსტის შექმნა. ამიტომ ვახტანგის მომხრეებისთვის შესაძლოა გაცილებით უფრო მარტივი ყოფილიყო რეალური ანდერძის ტექსტში მათთვის სასურველი ფრაგმენტის ჩამატება, ვიდრე მთლიანად ახალი ყალბი ტექსტის შექმნა. აგოგოლაძე და

⁸ აგოგოლაძე ა., უუუნაშვილი გ., ტახტის მემკვიდრეობის საკითხი საქართველოში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 2011 თბ. ტ. II, გვ. 236

გ.ჟუჟუნაშვილი თვლიან, რომ დავითი ამ ანდერძს დემეტრეს უბარებდა და ამდენად ვახტანგის მომხრეების მიერ მის გაყალბებას აზრი არ ექნებოდა, დემეტრეს ხომ ისედაც გადასარევედ ეცოდინებოდა ანდერძის შინაარსი და მასზე ვერავითარი გაყალბებული ანდერძი გავლენას ვერ მოახდენდა. მაგრამ აქ გასარკვევია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, იყო კი ეს გაყალბებული ანდერძი განკუთვნილი დემეტრესთვისაც? ჩვენი აზრით არა. ანდერძის გაყალბებული ვარიანტი განკუთვნილი იყო ალბათ საზოგადოებისათვის, უფრო ზუსტად, ნეიტრალურად განწყობილი ფეოდალებისათვის (ანდერძის ტექსტში წერია – „ყოველთათვის დიდებულთა“), რომ ვახტანგის ტახტზე ასვლის შემდგომ, მათთვის, მის გამეფებას კანონიერი სახე ჰქონოდა. ეს ანდერძი არ იქნებოდა გათვლილი დემეტრეზე და მის მომხრეებზე. ამის საჭიროება არც იყო. ჩვენი აზრით, მათზე არა თუ გაყალბებული, არამედ არც რეალური ანდერძი მოახდენდა გავლენას. ეს ანდერძი ნამდვილიც რომ ყოფილიყო, რა, დემეტრე I გადადგებოდა და ტახტს ვახტანგს დაუთმობდა? ან თუნდაც თავის შესაძლო მემკვიდრედ დანიშნავდა მას? ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა არა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, გაყალბებული ტექსტი საჭირო იყო იმისთვის, რომ საზოგადოების ნეიტრალური ნაწილისათვის ვახტანგის გამეფების კანონიერება ეჩვენებინათ (დემეტრეს მოხრეები ცხადია ასეთი შინაარსის მქონე რეალურ ანდერძსაც არ მიიღებდნენ, ვახტანგის მომხრეებს კი ეს არაფერში ჭირდებოდათ).

აკოგოლაძე და გ.ჟუჟუნაშვილი წერენ, „თუ ანდერძი შედგენილია დემეტრეს ნახევარძმის მომხრეთა დასის მიერ, მაშინ საეჭვოა, რომ დოკუმენტში დემეტრე შეემკოთ აღმატებული ეპითეტებით.“ ანდერძის ტექსტში მართლაც მოიპოვება დემეტრე I-ის შესანიშნავი დახასიათება – „მომცა პირუჭლი შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნით, სიწმიდით, ახოვანებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა“⁹. ჩვენი აზრით ეს ფრაგმენტი დავით აღმაშენებლის მიერ შედგენილი რეალური ანდერძიდანაა. რატომ გამოიყენეს ანდერძის გამყალბებლებმა ეს ფრაგმენტი? ალბათ იმიტომ რომ ანდერძის რეალურობის შთაბეჭდილება შეექმნათ. დავუშვათ, რომ 1125 წლის

⁹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა 1984 თბ. გვ. 61

ანდერძის ტექსტი რეალურია, მაშინ ჩნდება კითხვა, თუ კი დემეტრე ასეთი კარგი პიროვნებაა, რაღა საჭიროა ტახტზე მისი ვახტანგით შეცვლა?

დავით აღმაშენებელს 1123/1124 წელს დაწერილი ანდერძი რომ არ აკმაყოფილებდა ეს ცხადია. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძში დავით აღმაშენებელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სურს ახალი, უფრო სრულყოფილი და გამართული ანდერძის დაწერა – „თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა ესე იყუს აწინდელი“¹⁰; „უკუეთო ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუად უახლესი ანდერძი დაეწერო, იგი თქვენ, თქვენ მიერთა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეწუნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო, ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთმოძღუარნო.“¹¹ მაგრამ არის კი 1125 წლის ანდერძი „უმჯობესი“? ან არის ის „კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეწუნებითა“ დამტკიცებული? რა თქმა უნდა არა. ჩვენი აზრით ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ანდერძი გაყალბებულია.

ა.გოგოლაძე და გ.უუუნაშვილი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამენ, „მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის გვიანდელი სათაურიდან და მისი პროლოგიდან ჩანს, რომ საბუთის დაწერის დროისათვის მეფე გარდაცვლილია, ჩვენი აზრით, დოკუმენტის ეს პასაჟი ანდერძის დამტოვებლის ფიგურალური გამოთქმაა, იმქვეყნად წარმავალი კაცის ნაბარები, რომელიც მან „წარმოუთხრა მოძღუარსა თვისსა არსენის ჟამსა გარდაცუალებისა თვისისასა ყოველთათვის დიდებულთა თვისთა“. სწორედ ბერი არსენია ამ დოკუმენტის „ბოლო რედაქტორი“.¹² კი მაგრამ ვიცით რა სახის იყო ბერი არსენის „ბოლო რედაქტირება“? ეგებ რამე შეცვალა კიდევ ვარაუდის სახით იმის თქმაც შეიძლება, რომ ეგებ სწორედ ბერმა არსენმა ჩაამატა რეალურ ანდერძში მთელი რიგი ნაწევრები?

ნ. შოშიაშვილისა და ბ. კუდაგას მსგავსად ჩვენც გვინდა გავიმეოროთ, რომ ანდერძი მართლაც მთელ რიგ გაურკვეველ ფორმულირებებს შეიცავს. მათ შორის უმთავრესია ის, რომელიც ტახტის მემკვიდრეობის წესს ცვლის –

¹⁰ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.ხილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა თბ. 1984 წ. გვ. 53.

¹¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.ხილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა თბ. 1984 წ. გვ. 59.

¹² გოგოლაძე ა., უუუნაშვილი გ., ტახტის მემკვიდრეობის საკითხი საქართველოში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 2011 თბ. ტ. II, გვ. 235-236

„ძმად მისი გაზარდოს და, თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუაბა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“.¹³

რას ნიშნავს მეფობისათვის ცოტათი ვარგისი? და საერთოდ ვის უნდა განესაზღვრა ვარგისი იყო თუ არა მეფობისათვის ვახტანგი? თავად დემეტრეს? საინტერესოა თავად ფორმულირებაც – „შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“. ცხადია მამულის ქვეშ მთელი სამეფო იგულისხმება. მაგრამ რამდენად მოსალოდნელია, რომ ოფიციალურ დოკუმენტში სამეფოს ნაცვლად მამული დაეწერათ? როდესაც ბაგრატ III-მ ქუთაისში ახლად აგებული ტაძარი აკურთხა მოიწვია „ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი“.¹⁴ გიორგი I-ის გამეფებასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაჲ“ წერს – „ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თვისსა ჟამსა ოდენ სიყრმისა დს სიჭაბუკისა მისისასა“,¹⁵ ხოლო გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს – „და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკუდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა“.¹⁶ თუკი მემატიანე ანსხვაგვებს ერთმანეთისაგან მამულსა და სამეფოს, ალბათ უფრო მოსალოდნელია, რომ ოფიციალურ დოკუმენტში ყოფილიყო ფორმა „სამეფოსა ზედა“ ან თუნდაც „მამულსა და სამეფოსა ზედა“ და არა „მამულსა ზედა“. ჩვენი აზრით, ფორმულირება – „მამულსა ზედა“, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ანდერძის ტექსტი გაყალბებულია.

„შემდგომად მისსა“, ანუ დემეტრე I-ის შემდეგ. მაგრამ გაურკვეველია, დემეტრე I-ის გარდაცვალების მერე უნდა გამეფდეს ვახტანგი, თუ დემეტრემ სიცოცხლეშივე უნდა დაუთმოს ძმას ტახტი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ცუაბა“ ნიშნავს ცოტას, როგორც ამას მართებულად განმარტავდა ნ.შოშიაშვილი და არა სახელს – ცვაბა. თუ ცუაბა მეფის ძის სახელი იყო, მაშინ როგორ გავიგოთ შემდეგი წინადადება – „ხოლო დრაჰკანნი კოსტანტი ცუაბა და ჩემნი ღაღნი და თუალმარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემიწირავს“. ხომ აშკარაა, რომ ამ კონტექსტში „ცუაბა“ ნიშნავს ცოტას. ნაკლებად

¹³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა 1984 თბ. გვ. 62

¹⁴ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 273

¹⁵ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 274

¹⁶ ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 თბ. გვ. 278

სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ერთ შემთხვევაში „ცუატა“ ადამიანის სახელი იყოს, ხოლო ორიოდ წინადადების შემდგომ ცოტას აღნიშნავდეს.

რაც ყველაზე მთავარია, პირადად ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა შეეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი იმ მეფეს, რომელიც მთელი სიცოცხლე სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ცენტრალიზებული სამეფოს ჩამოყალიბებისათვის იბრძოდა? ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლა, მომავალში ხომ ნებისმიერ უფლისწულს მეფობის მოთხოვნის კანონიერ საფუძველს მისცემდა და პერსპექტივაში ქვეყანას შინაომების ცეცხლში გახვევდა.

იმ მეცნიერთაგან, რომლებიც 1125 წლის ანდერძს ნამდვილად დავით აღმაშენებლის მიერ შედგენილად მიიჩნევენ, არავის (თუ არ ჩავთვლით ჯ.სტეფნაძეს) უპასუხია კითხვაზე – რა მიზეზით უნდა შეეცვალა მეფეს ტახტის მემკვიდრეობის წესი?

ჩვენ ვთვლით, რომ დავით აღმაშენებელმა, „შირვანსა ზედა“ ლაშქრობიდან შემოქცეულმა, შესაძლოა მართლაც დაწერა ახალი ანდერძი, რომლის ტექსტმაც ჩვენამდე არ მოაღწია. სავარაუდოდ სწორედ ამ „მეორე ანდერძის“ ტექსტის გამოყენებით: მისი გადაკეთებით, მასში ცალკეული ფრაგმენტების ჩამატებითა და გამოკლებით, ვახტანგის მომხრეების მიერ შეიქმნა ის ტექსტი რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელსაც ჩვენ 1125 წლის ანდერძს ვუწოდებთ. ამდენად დღეს არსებულ ტექსტში არის როგორც ნამდვილი ანდერძის ფრაგმენტები (მაგ. დემეტრე I-ის დახასიათება) ასევე ნაყალბევი ადგილებიც (მაგ. ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლა).

რეზიუმე

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძთან დაკავშირებით. ჩვენი ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ანდერძის არსებული ტექსტი გაყალბებულია. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ არსებულ არგუმენტებს შეიძლება კიდევ ორი დაემატოს. ანდერძში წერია – „შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“. ოფიციალურ დოკუმენტში უნდა ყოფილიყო ფორმა „სამეფოსა ზედა“ ან

თუნდაც „მამულსა და სამეფოსა ზედა“ და არა „მამულსა ზედა“. ასევე ძალიან ზოგადია ფრაზა „შემდგომად მისსა“. გაურკვეველია, დემეტრე I-ის გარდაცვალების მერე უნდა გამეფდეს ვახტანგი, თუ დემეტრემ სიცოცხლეშივე უნდა დაუთმოს ძმას ტახტი. ჩვენ ვთვლით, რომ დავით აღმაშენებელმა შესაძლოა მართლაც დაწერა ასეთი ანდერძი, რომლის ტექსტმაც ჩვენამდე არ მოაღწია. სავარაუდოდ სწორედ ამ „მეორე ანდერძის“ ტექსტის გამოყენებით: მისი გადაკეთებით, მასში ცალკეული ფრაგმენტების ჩამატებითა და გამოკლებით, ვახტანგის მომხრეების მიერ შეიქმნა ის ტექსტი რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელსაც ჩვენ 1125 წლის ანდერძს ვუწოდებთ. ამდენად დღეს არსებულ ტექსტში არის როგორც ნამდვილი ანდერძის ფრაგმენტები ასევე ნაყალბევი ადგილებიც.